☆

ა) პროგრამის სახელწოდება: ქართულად: სადოქტორო პროგრამა „სოციოლოგია“
ინგლისურად: PhD Program in Sociology

ბ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ქართულად: სოციოლოგიის დოქტორი
ინგლისურად: Doctor of Sociology

გ) პროგრამის ხელმძღვანელი: თსუ სრული პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი

დ) პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 180 კრედიტი

ე) სწავლების ენა: ქართული

ვ) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე:
სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიზანია სოციოლოგიაში სრულფასოვანი მკვლევრის ჩამოყალიბება, რომელიც შეძლებს როგორც თეორიული, ისე გამოყენებითი კვლევების ჩატარებას პროფესიული სტანდარტების გათვალისწინებით.

ზ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:
მაგისტრის აკადემიური ხარისხი, უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატით და გასაუბრება სპეციალობაში.

გასაუბრებაზე შეფასდება სადოქტორო კვლევითი პროექტის (პროსპექტუსი) გეგმა, რომელსაც წრმოადგენს დოქტორნატურაში ჩაბარების მსურველი (იხ. დანართი N1).

თ) სწავლის შედეგი:
ცოდნა და გაცნობიერება - პროგრამის დასრულების შემდეგ სოციოლოგიის დოქტორი უნდა ფლობდეს ღრმა და კვალიფიციურ ცოდნას თანამედროვე სოციოლოგიის ძირითად თეორიებსა და კვლევის მეთოდებში. მას უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ამ ცოდნის გაზიარება, არამედ მისი ოპერაციული და ინოვაციური გამოყენება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - სოციოლოგიის დოქტორი უნდა ფლობდეს მაღალპროფესიული სტანდარტებით ემპირიული სოციალური კვლევის ჩატარების უნარ-ჩვევებს (ანუ უნდა შეეძლოს თანამედროვე ემპირიული კვლევის მეთოდების ადეკვატური გამოყენება საზოგადოებისათვის აქტუალური საკითხების შესწავლისთვის); ამასთან, მას უნდა შეეძლოს ამა თუ იმ მეთოდის ინოვაციური გამოყენება. მას ექნება უნარი განსაზღვროს სხვადასხვა სოციალური პრობლემის

კვლევის გზები და ჩამოაყალიბოს ღრმა და ეფექტური რეკომენდაციები ამ პრობლემების გადასაჭრელად; ექნება უნარი, ჩაერთოს სხვადასხვა მეთოდით წარმართულ კვლევით პროექტებში როგორც ძირითადი მკვლევარი ან თავად გაუძღვეს კვლევითი პროექტის განხორციელებას; ხარისხიანად და მაღალ დონეზე აწარმოოს კვლევა არსებული ეთიკური და პროფესიული სტანდარტების სრული დაცვით.

დასკვნის უნარი - დოქტორანტურის კურსდამთავრებულს შეეძლება, რომ სოციოლოგიური მონაცემების მაღალპროფესიულ დონეზე და დამოუკიდებლად დამუშავებისა და გაანალიზების საფუძველზე გამოიტანოს დასკვნები შესასწავლი პრობლემის არსის, მისი გადაჭრის გზების შესახებ.

კომუნიკაციის უნარი - დოქტორანტურის კურსდამთავრებულს შეეძლება კომუნიკაცია დაამყაროს ყველა იმ სტრუქტურასთან, ადამიანთან თუ ჯგუფთან, რომლებიც მისი კვლევის ინტერესებში შედის. მას შეეძლება წარმართოს მოლაპარაკებები კვლევის დაგეგმვისა და ორგანიზების მიმართულებით. ასევე, შეეძლება პროფესიული კომუნიკაცია ყველა იმ სოციალურ ერთეულთან, რომელიც მისი კვლევის ობიექტს შეადგენს. სოციოლოგიის დოქტორს განვითარებული ექნება სოციალური უნარები, კერძოდ, შეეძლება ჯგუფური მუშაობა, მათ შორის, ინტერდისციპლინურ ჯგუფში მუშაობა. და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე.

სწავლის უნარი – სოციოლოგიის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების/პროცესების გნვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, სწავლებისა და კვლევის პროცესში. სოციოლოგიის დოქტორს შეეძლება, რომ მის მიერ ათვისებული ცოდნა და გამოცდილება გადასცეს სხვებს, ანუ აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში როგორც პროფესორის ასისტენტი ბაკალავრიატის ყველა დონის კურსების საფეხურზე.

ღირებულებები:

ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით:

- ✓ პროფესიული ეთიკის პრინციპების პატივისცემა
- ✓ კვლევის ობიექტის (ადამიანები, ჯგუფები) უფლებების, პირველ რიგში, მათი ანონიმურობის დაცვა
- ✓ პლაგიატის უარყოფა
- ✓ ქსენოფობიური და ეთნოცენტრისტული დამოკიდებულებების უარყოფა; განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასება და პატივისცემა;

დოქტორნატურის კურსდამთავრებულებს, აგრეთვე, გამოუმუშავდებათ ზოგადი/ტრანსფერული უნარები: აბსტრაქტული აზროვნება, მოვლენათა კრიტიკული ანალიზი და სინთეზი, ახალი იდეების გენერირება, ცოდნის მუდმივი განახლება, სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიება და ანალიზი, დისკუსიის წარმართვა, საკუთარი ნაშრომისა და მოსაზრებების საჯარო წარდგენა და ა.შ.

ი) სწავლის მეთოდები:

1. ვერბალური მეთოდი
2. წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება, და ა.შ.
3. პრაქტიკული მეთოდები, რომლებიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ჩამოუყალიბებს: სასწავლო და პედაგოგიური პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ.

სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება, აგრეთვე, ისეთი მეთოდები, როგორიცაა:

1. დისკუსია, დებატები
2. ჯგუფური მუშაობა (cooperative/ collaborative)
3. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება(PBL)
4. შემთხვევის ანალიზი
5. გონებრივი იერიში (Brain storming)
6. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება

კ) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს გარკვეულ თანაფარდობას შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას შორის. თითოეული სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება ხორციელდება 100–ქულიანი სისტემით.

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა;

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება შემდეგი სქემით:

ქულები	შეფასება
91-100	ფრიადი A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D

51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა FX
0-40	ჩაიჭრა, F

შუალედური შეფასებები შეიძლება დაეყრდნოს შემდეგ აქტივობებს:

- აქტიურობა სასემინარო, ან პრაქტიკულ მეცადინეობაზე
- საპრეზენტაციოდ მომზადებული მოხსენება
- წერითი და ზეპირი საშინაო დავალებები
- შუალედური გამოცდა
- საბოლოო გამოცდა

  და სხვა.

დაუშვებელია დასკვნითი გამოცდის შეფასება 40 ქულაზე მეტით.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება საერთო/საუნივერსიტეტო სტანდარტის შესაბამისად:

ქულები	შეფასება
summa cum laude	ფრიადი (შესანიშნავი ნაშრომი)
magna cum laude	ძალიან კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება)
cum laude	კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს) აღემატება
bene	საშუალო (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს)
rite	დამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს)
insufficienter	არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს

	მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს)
sub omni canone	სრულიად არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს)

ლ) სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით:

სოციოლოგიის დოქტორანტურის სასწავლო გეგმა მთლიანობაში მოიცავს 180 ECTS კრედიტს. მათ შორის, სასწავლო კომპონენტი მოიცავს 40 კრედიტს, ხოლო დანარჩენი 140 ეთმობა კვლევას.

სასწავლო კომპონენტი:

სავალდებულო:

- სწავლების მეთოდები - 5 კრედიტი;
- აკადემიური წერა (კვლევის მეთოდების კომპონენტებით) - 5 კრედიტი (სავალდებულო სალექციო კურსი მათთვის, ვისაც აკადემიური წერა და/ან კვლევის მეთოდები სწავლების წინა საფეხურზე არ გაუვლია);
- დოქტორანტის სემინარი - 15 კრედიტი;
- პროფესორის ასისტენტობა – 5 კრედიტი.

არჩევითი:

- დოქტორანტის სემინარი – 15 კრედიტი;
- პროფესორის ასისტენტობა – 10 კრედიტი;
- შესავალი გამოყენებით სტატისტიკაში - 5 კრედიტი;
- სოციალური კვლევის მეთოდები – 5 კრედიტი;
- სოციალურ მეცნიერებათა ფილოსოფია – 5 კრედიტი;
- მეცნიერების მენეჯმენტი – 5 კრედიტი;
- ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა –10 კრედიტი;
- საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების თანამედროვე მეთოდები – 10 კრედიტი;
- საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო კურსები – 5–25 კრედიტი;
- სხვა სახის აქტივობა 5–15 კრედიტი.

ინდივინდუალურ სასწავლო გეგმას, საუნივერსიტეტო სტანდარტის სქემის მიხედვით, ადგენს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

სადოქტორო პროგრამის ***კვლევითი კომპონენტი*** მოიცავს **2 კოლოკვიუმს** (თითოეულისთვის 20 კრედიტი) 40 კრედიტის ოდენობით და **სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა – 100** კრედიტი.

მ) დასაქმების სფეროები:
დოქტორანტურის კურსდამთავრებული (დისერტაციის დაცვის შემთხვევაში) უფლებამოსილია მიღოს მონაწილეობა უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლის მიერ გამოცხადებულ კონკურსში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად. სოციოლოგიის დოქტორანტურის კურსდამთავრებულს შეეძლება კვლევითი საქმიანობის შესრულება ყველა იმ სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომელიც მაღალი დონის სოციალური კვლევების განხორციელებას საჭიროებს. ასეთი კვალიფიკაცია კი პრინციპულად ყველა სფეროში არსებულ ორგანიზაციას შეიძლება დასჭირდეს.

ნ) დამატებითი ინფორმაცია:
პროგრამას შეუძლია მოემსახუროს საშუალოდ 10–მდე სტუდენტს ყოველწლიურად.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; თსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ბაზები, რესურს–ცენტრები და სხვა.

გარდა ამისა, თსუ სოციოლოგიის მიმართულებას ემსახურება სარესურსო ცენტრი, რომელიც მოიცავს:

- ექვს გარემონტებულ ოთახს;
- ბიბლიოთეკას;
- უახლესი მოდელის კომპიუტერები და პრინტერები;
- ქსეროკოპირების მანქანას;
- პროექტორს;
- ფაქსს, სკანერს და ა.შ.

სარესურსო ცენტრი ღიაა 9-დან 18 საათამდე სამუშაო დღეებში.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: სადოქტრო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს თსუ.

დანართი N1.

სადოქტორო -კვლევითი პროექტის გეგმა (პროსპექტუსი)/ განაცხადის ფორმა

პროექტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სახელი, გვარი:

სადოქტორო პროგრამა:

სადოქტორო - კვლევითი პროექტის გეგმა (პროსპექტუსი)

სადოქტორო კვლევითი პროექტის სათაური:

ა) საკვლევი თემა:
(განსაზღვრეთ საკვლევი თემა და დაასაბუთეთ მისი აქტუალობა). სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა -200

ბ) **კვლევის მიზანი და ამოცანები, საკვლევი კითხვები, ან/და ჰიპოთეზები** (საჭიროების შემთხვევაში): სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 150

გ) კონცეპტუალური/თეორიული ჩარჩო და ლიტერატურის მიმოხილვა:
(წარმოადგინეთ ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც განსაზღვრავს საკვლევი თემის შესახებ არსებულ ცოდნას და ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას). სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 500

დ) მეთოდოლოგია და კვლევის განხორციელების ეტაპები:
(აღწერეთ კვლევის მეთოდოლოგია, რომლის საშუალებით იქნება მიღწეული კვლევის მიზანი.
სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა – 400.
თარიღი: